სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

29 მაისი, 2024 წ

ბრძანება N 01-02/69

2024-2025 სასწავლო წლისთვის „ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვიგოს უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობისთვის ბსუ-ს სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტო №01-06/89 დადგენილების, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ERASMUS+" გაცვლითი პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 29 მაისის №589691 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2024-2025 სასწავლო წლისათვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვიგოს (ესპანეთი) უნივერსიტეტში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილე ბსუ-ს სტუდენტთა გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:

1.1. **კონკურსში მონაწილეობის მსურველი ბსუ-ს სტუდენტების მიერ** - ელექტრონულად, ბმულზე - http://registration.bsu.ge და ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული) **მიღება - 2024 წლის 29 მაისიდან 10 ივნისამდე (12:00 საათამდე);**

1.2. საბუთების შემოწმება და შეფასება - **2024 წლის 10 ივნისი, 15:00 საათი** (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი);

1.3. ტესტირება/გამოცდა ინგლისურ ენაში (ინგლისური ენა B1/B2) – **2024 წლის 11 ივნისი, 11:00 საათი** - ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი, №4 კორპუსი, მის: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12 (უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტი თავისუფლდება ტესტირებიდან);

1.4. გასაუბრება კომისიასთან - **2024 წლის 12 ივნისი;**

1.5. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მიმღები უნივერსიტეტებისთვის - **არაუგვიანეს 2024 წლის 14 ივნისისა.**

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**

ა) მერაბ ხალვაში - თავმჯდომარე, რექტორი;

ბ) ანზორ ბერიძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე;

გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ე) მარინა გიორგაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;

ვ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ერაზმუს+ კოორდინატორი ბსუ-ში;

ზ) თეონა ბერიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

თ) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

ი) გაიოზ ფარცხალაძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;

კ) რუსუდან ხუხუნაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;

ლ) ირაკლი კორძაია - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი;

მ) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ნ) ლელა თურმანიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი.

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესითა“ და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს -ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**